პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ვებ გვერდზე https://gtu.ge/Study-Dep/ გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

პროგრამის მიზანია მენეჯერების მომზადება, რომლებიც გადაწყვეტილების რაოდენობრივი მოდელების გამოყენებით, შეძლებენ საწარმოთა საქმიანობის სტრატეგიული და ფინანსური ანალიზის ჩატარებას, შესაბამისი რისკების შეფასებას და მათ ასახვას ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ტექნოლოგიური ინოვაციების ასათვისებელ პროგრამებსა და პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო სისტემების, მათ შორის ლოგისტიკური სისტემების, თანამედროვე ინჟინერინგსა და მართვას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. ინოვაციების სფეროში ცოდნისა და უახლესი მიღწევების კრიტიკული გააზრების საფუძველზე, პროგნოზირებს და აფასებს ეკონომიკურ-ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციებს; ამზადებს რეკომენდაციებს ტექნოლოგიურ სისტემებში მიმდინარე პროცესებისა და მათი მიმდინარეობის მართვის, აგრეთვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული სამეწარმეო პრობლემების გადაწყვეტის შესახებ;
2. აღწერს ინოვაციათა განვითარების პროცესებს და მათი მართვისთვის გამოყენებულ ზოგად მიდგომებს; აიდენტიფიცირებს ტექნოლოგიურ ინოვაციათა სამეწარმეო პოტენციალს და განსაზღვრავს მათი ათვისებისთვის საჭირო ღონისძიებებს; აგროვებს და შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით აანალიზებს ამ ღონისძიებების რეალიზების ამსახველ ინფორმაციას; საჭიროების შემთხვევაში, გეგმავს და ატარებს სათანადო მაკორექტირებელ ღონისძიებებს;
3. აყალიბებს საწარმოს მისიისა და მიზნების შესაბამის სტრატეგიას, გეგმავს და წარმართავს მათ მიღწევაზე მიმართულ ოპერაციულ პროცესებს, რომლებსაც აჯგუფებს საწარმოო ნაკადებში, უზრუნველყოფს ამ ნაკადების შედეგიანი მიმდინარეობისთვის საჭირო მოქმედებებს: აგროვებს და აანალიზებს მოთხოვნებს საწარმოთა ოპერაციული საქმიანობის რესურსულ უზრუნველყოფისადმი, აგეგმარებს საწარმოს ლოგისტიკას, ადგენს შესაბამისი მიწოდების ჯაჭვების სტრუქტურას, აორგანიზებს სასაწყობო მეურნეობის ოპტიმალურ მუშაობას, აფასებს საწარმოო პროცესების მიმდინარეობის ლოგისტიკური უზრუნველყოფის სისტემების ეფექტურობას;
4. ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ერთმანეთთან აკავშირებს ინდუსტრიული რევოლუციის განმსაზღვრელ თავისებურებებს, გეგმავს სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე მიმართულ პროგრამებსა და პროექტებს, ახორციელებს საპროექტო რისკების, ფინანსურის და ლოგისტიკურის ჩათვლით, ხარისხობრივ და რაოდენობრივ ანალიზს, ამუშავებს რისკებზე რეაგირების სტრატეგიას; განსაზღვრავს პროგრამის/პროექტის სარეალიზაციო სამუშაოების

საბაზისო გეგმას; ორგანიზებას უკეთებს პროექტის ხარისხის უზრუნველმყოფელ ღონისძიებების შესრულებას; პროექტების მართვის პროგრამული საშუალებების გამოყენებით ახდენს პროექტის მიმდინარეობის კონტროლს;

5. დაინტერესებული მხარეების (სტეიკჰოლდერების) მოთხოვნილებათა ანალიზის საფუძველზე, ირჩევს საწარმოო სისტემის განმსაზღვრელ მახასიათებლებს და მათი პარამეტრების შესაბამის მნიშვნელობებს, ადგენს სათანადო მრავალდონიანი სამეწარმეო სისტემის იერარქიულ მოდელს, აკეთებს დასკვნებს მისი ვალიდურობის, შემდგომი განვითარების საჭიროებისა და შესაძლებლობის შესახებ; უზრუნველყოფს სისტემური ხასიათის გადაწყვეტილებების თავსებადობას სამეწარმეო ორგანიზაციის მისიასა, სტრატეგიულ მიზნებსა და შესაბამის ტაქტიკურ ამოცანებთან;
6. აღწერს საწარმოში არსებულ და დასაგეგმარებელ ბიზნეს პროცესებს, აკავშირებს პირველადი და დამხმარე პროცესების შესაძლებლობებს საწარმოს მიერ მიღწეულ კონკურენტუნარიანობასთან, განსაზღვრავს მათი მოდერნიზების აუცილებლობას; სტრატეგიული სარგებლის მაქსიმიზების მიზნით ადგენს ახალ ორგანიზაციულ მოდელებს და ასაბუთებს მათი სარეალიზაციო პროექტების განხორციელების საჭიროებას;
7. სტრატეგიული გადაწყვეტილებების რეალიზებისა და მენეჯმენტის კომპლექსური პრობლემების გადაჭრისას, ოპერირებს სათანადო ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით; რეალური სიტუაციის აღმწერი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ტექნოლოგიური რევოლუციით შექმნილი ახალი შესაძლებლობების გამოყენების მიზნით, ირჩევს გადაწყვეტილების მიღების შესაბამის რაოდენობრივ მოდელებს და სარგებლობს იმიტაციური მოდელირებით, აგეგმარებს პლატფორმას შესაბამისი ინტერაქციების სტიმულირებისთვის;
8. ორგანიზაციის ეფექტურად მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიებს; შეიმუშავებს ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მეტი ეფექტურობით გამოყენების გზებს, ირჩევს და იყენებს წარმოქმნილი კონფლიქტების აღმოფხვრის აპრობირებულ მეთოდებს;
9. ბიზნეს-დოკუმენტებთან მუშაობის პროცესში, ანალიზის, სინთეზისა და შედარების გზით აზუსტებს მონაცემებს და სრულფასოვანი ფორმით, შინარსითა და შესაბამისი სტილით წარადგენს ინფორმაციას როგორც სტეიკჰოლდერებთან, ისე მთლიანად საზოგადოებასთან; აწარმოებს მიმდინარე დოკუმენტაციას, ადგენს განაცხადებს, რეზიუმეებს და ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკების თანმხლებ სხვა დოკუმენტებს;
10. დამოუკიდებლად, საკუთარი კვლევების განხორციელების გზით, არაპროგნოზირებად გარემოში ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით პოულობს და იყენებს პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს; იღებს პასუხიმგებლობას საკუთარი საქმიანობის შედეგებზე; აცნობიერებს საკუთარი პროფესიული ზრდის აუცილებლობას და გეგმავს მომავალი განვითარების პერსპექტივებს; მოქმედებს ეთიკური პრინციპების დაცვით, პატივს სცემს სხვის აზრს, ასაბუთებს საკუთარ პოზიციას და მონაწილეობს პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირებულებების ფორმირებისა და დამკვიდრების პროცესში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში სტუ ნიშნავს დამატებითი გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კომპონენტებისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა დაწვრილებით აღწერილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში.

კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა, საჯარო დაცვა და შეფასება ხორციელდება ერთჯერადად. შეფასება ხდება 100 ქულით. შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილებით დამტკიცებული „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესით“.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი

1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა)	5
	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა)	
	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა)	
	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა)	
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	5
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული ენა)	
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული ენა)	
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული ენა)	
3	გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მოდელები	5
4	კომუნიკაცია და მოლაპარაკება ბიზნესში	5
5	ტექნოლოგია და ბიზნეს-მოდელები	5
6	ეკონომიკური განვითარება და ტექნოლოგიები	5
7	საწარმოო და ბიზნესპროცესების ინჟინერინგი	5
8	სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფციები	5
9	ლოგისტიკური სისტემების მოდელირება	5
10	სისტემათა ინჟინერინგი	5
11	ოპერაციათა სტრატეგიული მენეჯმენტი	5
12	საინვესტიციო პროექტების ფინანსური მენეჯმენტი	5
13	პროგრამების და პროექტების მართვა	5
14	პერსონალის მართვის მოდელები და მეთოდები	5
15	პროექტების რისკების მენეჯმენტი	5
16	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	5
	არჩევითი სასწავლო კურსები	
17	საწარმოს ეკონომიკა	5
	პროექტირების მეთოდები	
18	ინოვაციათა მარკეტინგი	5
	საწარმოო მართვის სისტემები	
	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	30